N 01/8654
04/11/2022

8654-01-2-202211041702

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ლევან რაზმაძეს

მის: თბილისი 0144, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა №8

ბატონო ლევან,

გიგზავნით მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ წერილობით შეტყობინებას:

- შესყიდვის საშუალება: ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე).
- შესყიდვის რეკვიზიტები: **NAT220005178**.
- შესყიდვის ობიექტის დასახელება: **მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ს რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოები.**
- კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 45200000.
- პრეტენდენტის რეკვიზიტები: შპს "სამშენებლო კომპანია მამისონი"; საიდენტიფიკაციო ნომერი: 205204250; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბროსეს ქ. №6;
- ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@mamisoni.ge.

შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის საფუძველი:

2022 წლის 05 მაისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" და შპს "სამშენებლო კომპანია მამისონს" შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/30/099 ხელშეკრულება, **მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ს რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოების** თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელს სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაემუშავებინა სამუშაოთა წარმოების პროექტი, ვინაიდან მშენებლობის დაწყება დამტკიცებული სამუშაოთა წარმოების პროექტის გარეშე ეკრძალებოდა.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ" 2022 წლის 12 ივლისს მიმწოდებელს წერილობით აცნობა მათ მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა წარმოების პროექტის ხარვეზების შესახებ. აღნიშნული წერილით მოთხოვნილ იქნა დეტალური სამუშაოთა წარმოების პროექტის წარმოდგენა, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა სამუშაოების სწორი ორგანიზება და პროექტის განხორციელება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

2022 წლის 02 აგვისტოს კიდევ ერთხელ მივმართეთ მიმწოდებელს აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის მოთხოვნით. მათ მიერ მხოლოდ 2022 წლის 12 აგვისტოს იქნა წარმოდგენილი (კომპანიაში რეგისტრაციის №10017/01 12.08.22წ.) „სამუშაოთა წარმოების პროექტის კორექტირებული ვარიანტი", რომელიც განიხილა კომპანიის შესაბამისმა სამსახურებმა და 2022 წლის 29 სექტემბრის N01/7425 წერილით, მითითებულ იქნა შენიშვნები აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით და განესაზღვრათ სრულყოფილი სამუშაოთა წარმოების პროექტის წარმოდგენის (წერილის ჩაბარებიდან 10 კალენდარული დღე) და სამუშაოების წარმოების დაწყების კონკრეტული ვადები (პროექტის შეთანხმებიდან 2 დღის ვადაში). მიუხედავად აღნიშნულისა, მიმწოდებლის მხრიდან რეაგირება არ მომხდარა.

ხელშეკრულების დადებიდან ექვსი თვის, ხოლო მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 98 დღის შემდეგ, კვლავ არ არის წარმოდგენილი სრულყოფილი და სამუშაოების წარმოებისთვის ვარგისი სამუშაოთა წარმოების პროექტი. დღეის მდგომარეობით გასული არის ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ვადის მესამედი ნაწილი, შესაბამისად, მოცემული გარემოებების გონივრული შეფასებით, შემსყიდველისთვის ცხადია, რომ ხელშეკრულების შესრულება ვადაში მიმწოდებლის მხრიდან ვერ მოხდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"-მ 2022 წლის 03 ნოემბრის №01/8584 წერილით აცნობა მიმწოდებელს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2015 წლის 29 ოქტომბრის „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების" დამტკიცების შესახებ №19 ბრძანების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის საფუძველია ხელშეკრულების მოქმედების ვადის შეწყვეტა (2022 წლის 03 ნოემბერი) და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები სრულად არის ატვირთული ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

პატივისცემით,

გიორგი შარკოვი

გენერალური დირექტორი